საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/06

ქ. ბათუმი 18 ----- იანვარი, 2023 წ.

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის N06-01/80 დადგენილების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლი-სურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის N01-02/268 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 16/12/2022წ. MES 4 22 0001619350 და 2023 წლის 16/12/2023 წ. MES 2 23 0000032971 სამსახურებრივი ბარათების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 16 იანვრის N01-14/12 ბრძანების (ბსუ-ს რექტორის მივლინების შესახებ), ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანების დანართ N1-ში შევიდეს ცვლილება და ბრძანების დანართი N1 ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით (**დანართი N1**).

2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის დამატებითი ინფორმირება.

3. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ.

4. წინამდებარე ბრძანების დანართი N1 ითარგმნოს ინგლისურ ენაზე.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის ----18---- იანვრის N 01-02/06 ---------- ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე **მე-9 ნაკადის ჩათვლით ჩარიცხული სტუდენტებისათვის** (პირები, რომლებიც სასწავლო პროცესში ჩაერთვნენ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან (სწავლების პირველი სემესტრი) **სასწავლო პროცესი** (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) **2022-2023 სასწავლო წელს** წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. შემოდგომის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2022 წლის 17 ოქტომბერს** და დასრულდეს **2023 წლის 04 თებერვალს.**

ბ) 2022 - 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2022 წლის 01 ნოემბერს;

გ) საშობაო არდადეგები - 2022 წლის 31 დეკემბერიდან 2023 წლის 08 იანვრის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 06 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 27 თებერვლიდან 2023 წლის 04 მარტის ჩათვლით.

1.2. გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 20 მარტს** და დასრულდეს **2023 წლის 01 ივლისს.**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 06 მარტს და დასრულდეს 2023 წლის 18 მარტს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 03 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 24 ივლისიდან 2023 წლის 29 ივლისის ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2023 წლის 20 სექტემბრამდე.

2. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე **მე-10 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, ასევე მე-9 ნაკადზე ჩარიცხული მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის** (სულ 19 სტუდენტი), რომლებიც **ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანებების თანახმად,** სასწავლო პროცესში უნდა ჩართულიყვნენ ნაცვლად 2022 წლის გაზაფხულის სემესტრისა - 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან (სწავლების პირველი სემესტრი), **სასწავლო პროცესი** წარიმართოს (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) **2022-2023 სასწავლო წელს** შემდეგ ვადებში:

2.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2022 წლის 28 ნოემბერს** და დასრულდეს **2023 წლის 18 მარტს.**

ბ) 2022 - 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 21 ნოემბერს და დასრულდეს 12 დეკემბერს;

დ) საშობაო არდადეგები - 2022 წლის 31 დეკემბერიდან 2023 წლის 08 იანვრის ჩათვლით.

ე) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 20 მარტიდან 08 აპრილის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 10 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით.

2.2. გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 17 აპრილს** და დასრულდეს **2023 წლის 29 ივლისს.**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 10 აპრილს და დასრულდეს 2023 წლის 15 აპრილს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 31 ივლისიდან 19 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 21 აგვისტოდან 2023 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით.

3. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე ე.წ. **მე-11 ნაკადზე** ჩარიცხული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესი (სწავლების პირველი სემესტრის სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები)/აკადემიური კალენდარი 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 06 მარტს** და დასრულდეს **2023 წლის 17 ივლისს.**
ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 20 თებერვალს და დასრულდეს 4 მარტს;
გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 19 ივნისიდან 08 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 10 ივლისიდან 2023 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

4. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე **ე.წ. მე-9 ან/და მე-10 ნაკადებზე ჩარიცხული პირებს,** რომლებიც სავიზო პროცედურების ან სხვა ობიექტური მიზეზით ვერ ჩაერთვნენ ბსუ-ს სასწავლო პროცესში 2022 წლის გაზაფხულის/შემოდგომის სემესტრში, **შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი** აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, 2022-23 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან (სწავლების პირველი სემესტრიდან). აღნიშნული პირების 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესში **შიდა მობილობის გარეშე დაბრუნების შესაძლებლობა განხილული იქნეს** შესაბამისი ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (აკად. საბჭოს დადგენილება N111, 08.10.2015 წ.) და სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში მათი სწავლების პირველი სემესტრი წარიმართოს წინამდებარე აკადემიური კალენდარის მე-3 პუნქტში მითითებულ ვადებში.